№ 219, ოქტომბერი 16, ხუთშაბათი — 1892 — ოქტომბერი 16, ხუთშაბათი № 219

გაზეთი ღირს

| თთვე | მან. კ. | თთვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

# ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადების დასაბეჭდათ უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, კუკიაში, ავჭალის ქუჩაზედ, გარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში; წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელიარიას, სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში, სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1892 სპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1892

ქუთაისში

(ივანოვის ქუჩაზედ, საკუთარს სახლში)

ამ ოქტომბრის 20 რიცხვიდგან დაარსდება

მოსამზადებელი სასწავლებელი და საყმაწვილო ბაღი

ს. ი. ოცხელისა

(5—3)

## წიგნების გამომცემელ ქართველთა ამხანაგობისაგან

ქართველთა ამხანაგობის გამგეობისა და სარედაქციო კომისიის შეერთებულმა კრებამ მდგომარე წლის 2 მაისს დაადგინა ქართული კრებულის გამოცემა დროგამოშვებით. კრებულში დაიბეჭდება სალიტერატურო და სამეცნიერო წერილები და სივრცით ქმნება არა ნაკლებ ათი თაბახისა (320 გვ.)

ვთხოვთ, ვისაც ჰსურს მონაწილეობის მიღება, თავის ნაწერები გამოუგზავნოს ამხანაგობას კრებულში დასაბეჭდათ.

მოწონებულს და კრებულში დაბეჭდილს რომანებში, მოთხრობებში და სამეცნიერო წერილებში ავტორთ მიეცემათ ნაბეჭდ თაბახში (32 გვერდი, გვერდზედ 27 სტრიქონი იქმნება 5×8 კვადრ.) არა ნაკლებ 18 მ. ლექსები და პოემები დაიბეჭდება სხვა პირობებით.

ხელნაწერებთან ერთად ავტორიი მიერ გამოგზავნილი უნდა იქმნას წერილი პირობითურთ შემდეგის ადრესით: Тифлисъ. Правленію грузинскаго Издательскаго Товарищества.

(10—3)

## ახალი ამბავი

*** წიგნების გამომცემელმა ქართველთა ამხანაგობამ უკვე დაბეჭდა მომავალ 1893 წლ. კედლის ქართული კალენდარი, რომელიც მალე გასაყიდადაც გამოვა. კალენდარი დაბეჭდილია იმავე ფორმატისა, როგორც წრევანდელი და ყველა უქმე დღეები აღნიშნულია წითელის ქაღალდით.

*** სამშაბათს, 13 ოქტომბერს, ტფილისის მე-5 ნაწილის ბოქაულის თანაშემწემ და პოლიციის მოხელეთ შეიპყრეს ცხინვალელი ურია რუხაშვილი, რომელმაც ერთი თავისი ნათესავი მოჰკლა და სასამართლომ ამ დანაშაულისთვის რუხაშვილი სამუშაო როტაში გაჰგზავნა და როცა იქ ვადა გაუთავდა, ციმბირში გადაასახლეს. რუხაშვილი ციმბირიდგან გამოიქცა, მოვიდა ტფილისს და აქ, როგორც პოლიციამ შეიტყო, თავისის ამხანაგებით ერთს მდიდარს სპარსელს უნდა დასცემოდა გასაძარცვავად.

*** ჩვენის ქალაქის უმთავრესს სამკურნალოში სექტემბერს ყოფილა 3311 ავადმყოფი, 1047 მამაკაცი, 1459 დედაკაცი და 805 ბავშვი. ფასით 717 კაცი და უფასოდ 2594. ამათში 943 პირველად მისულა. ამავე სამკურნალოს ავლაბრის განყოფილებაში ყოფილა სულ 497 ავადმყოფი, 116 მამაკაცი, 198 დედაკაცი და 183 ბავშვი; ფასით 73 კაცი და უფასოდ-კი 424. ახლად მისულა 174. ხარფუხის განყოფილებაში 432 ავადმყოფი ყოფილა, 102 მამაკაცი 148 დედაკაცი და 182 ბავშვი. ფასით 51 და უფასოდ-კი 391. ახლად მისულა 169.

*** ამ დღეებში სტამბოლიდგან ტფილისში ჩამოსულა ვიღაც დედაკაცი, ოქროთი და ბრილიანტებით მორთული და ტფილისის ერთს სასტუმროში ჩამომხდარა. ეს დედაკაცი ყველგან თურმე დაიარებოდა და აკვირვებდა ხალხს თავის სიმდიდრით. რამდენისამე ხნის შემდეგ სასტუმროს მსახურისათვის უბრძანებია, მიშოვნე ლამაზი ახალგაზდა ქალები, რომ მემსახურონ და თანაც წამომყვნენ ჩემს ქვეყანაშიაო. მსახურს, რასაკვირველია, აუსრულებია ქალბატონის ბრძანება, მიუგვრია რამდენიმე ქალი, რომელნიც ხელ-საქმეს თურმე ეძებდნენ. დედაკაცმა კარგად დაასაჩუქრა, ორნი მეორე დღესვე ვიღაც კაცს ჩააბარა და სტამბოლს გაჰგზავნა. ამასობაში პოლიციამაც შეიტყო ამ დედაკაცის ტფილისში ჩამოსვლის აზრი და მაშინვე გაეშურა ოსმალელ დედაკაცის შესაპყრობლად, მაგრამ იმას უფრო ადრე გაეგო პოლიციის წადილი და გაქცეულიყო. ეს დედაკაცი აგენტი ყოფილა ოსმალეთის ერთ-ერთ საიდუმლო კანტორისა, რომელიც ჰყიდულობს და ჰყიდის ლამაზ ქალებს ჰარამხანებისათვის.

*** გორი: 4 ოქტომბერს გორის მაზრის ს. ხიდისთავის ერთი მცხოვრები გორიდგან თავისს სოფელში მიდიოდა. გზაში დაუხვდა სამი უცნობი კაცი, ძლიერ სცემეს, წაართვეს ცხენი, გორში ნავაჭრი სხვადასხვა საქონელი და ექვსი მანათიც ფული. ერთი ავაზაკთაგანი იმ დღესვე შეიპყრო პოლიციამ; დამნაშავე გამოტყდა და დანარჩენი ორი ამხანაგიც დაასახელა. მეორე დღეს ისინიც შეიპყრეს. ავაზაკები ქ. გორის მცხოვრებნი არშაკ კოხტიანი, ნიკოლოოზ წიკლაური და იასონ ჯანიაშვილი აღმოჩნდნენ.

*** ახალ-სენაკი: ჩვენს მაზრაში ორი სამამასახლისოა—ნაესაკოვისა და კვათანასი, რომელთაც დიდი გასაჭირი და ზარალი ჰქონდათ უწყლოობისა გამო. მდინარე არსად ახლო არ არის და ჰებიც ზაფხულში შრება ხოლმე. ამ გარემოებას მიაქცია ხალხმა ყურადღება და ბოქაულ ვლ. აბაშიძისა და აზნ. ჩაჩავათა დახმარებით გამოყვანილ იქმნა არხი მდ. ზანიდგან. არხის გათხრა, ცოტა არ იყოს, ძალიან გაჭირდა და დაბრკოლდა ზოგიერთა მემამულეთაგან, მაგრამ ახლა მაინც გათავდა საქმე და 10 ვერსის მანძილზედ უკვე გაკეთდა არხი. ამ მოკლე ხანში წყალსაც გამოუშვებენ.

*** პეტერბურგის გაზეთებს შეუტყვიათ, რომ მთავრობას განზრახვა აქვს, მევენახეობის მცოდნე ინსპექტორები გაჰგზავნოს კავკასიასა, ყირიმსა და ბესარაბიაში. ამ ინსპექტორებს დაავალებენ: ვენახის ნიადაგი გასინჯონ, ასწავლონ მევენახეებს უკეთესი შემუშავება ვაზისა, აგრეთვე გააცნონ და ასწავლონ მევენახეებს შესაფერი და რიგიანი მოვლა ვენახისა, წამლობა ვაზისა სხვა-და-სხვა სენისაგან, თვალ-ყური ადევნონ აგრეთვე, რომ უდროოდ არც დასხლან ვაზი მევენახეებმა და არც უდროოდ დაჰკრიბონ ყურძენი. ამასთანავე ინსპექტორების მოვალეობა იქნება, რომ სამართალს მისცენ ბაღისა და ვენახის ის პატრონები, რომელნიც ავადმყოფს ვაზს არ უწამლებენ.

*** გაზეთ „Новое Обозреніе"-ს აუწყებენ პეტერბურგიდგან, რომ გზათა სამინისტროსთან დაარსებულმა განსაკუთრებულმა საბჭომ კახეთისა და შუშას რკინის გზის გაყვანა საჭიროდ და სასარგებლოდ სცნო. რაც შეეხება შემახიის და ახალციხე-ხაშურის რკინის გზის გაყვანას, პირველი ამათგანი, თუმცა მართალია სასარგებლოა, მაგრამ ხარჯის დაფარვას-კი ვერ შეიძლებსო; იმის შესახებ-კი თუ ახალციხე-ხაშურის გზა

## ფელეტონი

### კაცია და გუნება

(სურათი გურიის ცხოვრებისა)

უქმე დღე იყო. სოფლის სამმართველოს წინ, ხის ძირში, ისხდნენ გლეხ-კაცნი და ბაასობდნენ, ვინ ყანების უვარგისობასა და მიწის გამოფიტვას უჩიოდა, ვინ „გადასახადის მომატებას" და ვინ კერძო, თავისს ოჯახის გასაჭირს. გლეხ-კაცთა სალაპარაკო ან-კი რა უნდა ყოფილიყო? რა თქმა უნდა, რომ გლეხები გასართობად არ იყვნენ აქ მოსულნი, უქმე დღეს გლეხის გართობა ის არის, რომ, თუ ნაცვალმა (გზირმა) არ დაუძახა „კანცალარიაზე გიბარებენ"-ო, წამოწვება ლოგინზედ და წინა დღეებში მუშაობისაგან დაღლილ ძვალ-რბილს ასვენებს.

სამმართველოს წინ თავ-მოყრილ გლეხებში ზოგი «ბატონის ბეგარას ავვიანებს»-ო და იმიტომ დაებარებინათ, ზოგი „ზბორშჩიკს" წარედგინა—„სახელმწიფო გადასახადს არ იხდის"-ო, ზოგი მამასახლისს დაებარებინა და ზოგი—მსაჯულებს.

გლეხებში, შუაგულ ადგილას, დიდ მორგვზედ იჯდა მოხუცი ბეჟუკი, ფეხი-ფეხს გადადებული, თოვლსავით თეთრის წვერით და გძელ-ტარიანის ჩიბუხით სწევდა თუთუნს. ხან-და-ხან ბეჟუკი შეაჩერებდა თუთუნის წევას და ჩაერეოდა ლაპარაკში. გლეხები ბეჟუკის ლაპარაკის დროს სმენად გადაიქცეოდნენ. ბეჟუკი ან იხუმრებდა, იმახვილებდა რასმე და დიდ ხანს აცინებდა მსმენელს, ან რომელსამე მოკლე არაკს, ანდაზას ან სხვა რასმე ამისთანას იტყოდა.

ბეჟუკი გლეხი იყო. მაგრამ ბევრის მნახველი, დიდი გამოცდილი ცხოვრებაში, ჭკუიანი, თავის სოფელში განთქმული ხუმარა—ენა მახვილი და კარგი მოსაუბრე. უსწავლელის კაცის პირობაზედ, მშვენიერის ლექსის «გათქმაც» იცოდა. ამიტომაც, როგორც გლეხები, ისე იმ სოფლის თავად-აზნაურობაც დიდ პატივსა სცემდა ბეჟუკის; ისე ეთავაზებოდნენ, როგორც თავმომწონე თავადიშვილს. შეხვდებოდა თუ არა თავად-აზნაურების შეკრებილებაში, საუკეთესო ადგილს უთმობდნენ. მაგრამ იმ ხანად თავად-აზნაურებსა და გლეხებს შორის რაღაც მამულის შესახებ დავა-საჩივარი იყო ატეხილი, ბეჟუკიც მოდავე გლეხებში ერია და ამიტომ აღარ ეკარებოდა თავად-აზნაურობას. თვით სამმართველოს წინ, „ბალკონზედ", იჯდა ათიოდე კაცი, რომლებსაც ზედ ეტყობოდათ, რომ მუშა კაცნი არ უნდა ყოფილიყვნენ. ისინი ოხუნჯობდნენ გლეხთა შესახებ, დასცინოდნენ გამვლელ-გამომვლელს, აჯავრებდნენ დაცინვით ერთმანეთსაც; ერთის სიტყვით იქცეოდნენ ისე, როგორც შეეფერება უსაქმო, მოცლილ ხალხს. ეს ხალხი ბძანდებოდა იმ სოფლის აზნაურობა. აზნაურებს გარდა, „ბალკონზედ" იჯდა კიდევ ერთი „სახე-გაქივებული", ჩასუქებული მღვდელი, ძვირფასის ატლასის ტანისამოსით. მღვდელი გულიანად ხარხარებდა აზნაურების ლაზღანდარობის გამო. თვით „კანცელარიაში" ისხდნენ: მამასახლისი, სოფლის მსაჯულები, მწერალი და რაღაც ქაღალდებსა სჩხრეკავდნენ. საქმეების გარჩევა ჯერ არ დაწყებულიყო.

მოვიდა სოფლის იასაული მაზრის სამმართველოდგან და მოიტანა რაღაც «პაკეტები». სხვათა შორის იყო „Вѣдомости"-ც. ეს „Вѣдомости" იბეჭდებოდა ყოველ კვირაობით მახლობელ საგუბერნიო ქალაქში გაზეთის სახით. რა თქმა უნდა, ყველა გვერდი ამ გაზეთისა „объявленіе"-ბით და „приказъ"-ებით იყო სავსე. სოფლის მწერალი იბარებდა ამ „გაზეთს" გლეხების ფულით და ინათლებდა გონებას მისი „სამეცნიერო" წერილების კითხვით. არ გასულა ათი წამი პაკეტების მოტანის შემდეგ, რომ მწერალმა მხიარულის ღიმილით გამოიტანა „Вѣдомости" და დაუძახა გლეხებს: „აბა, მოდით, უყურეთ, რა ამბავი სწერია გაზეთში!"

ეს მწერალი, დიაკვნიშვილი, მაღალ-მაღალი, აწოწილი, უსიამოვნო შეხედულების კაცი იყო; სახეზედ სიყალბე და გაიძვერაობა ეხატებოდა. გლეხებს შემჩნეული ჰქონდათ, რომ ყოველთვის, როცა გლეხებისათვის უსიამოვნო და თავზარ-დამცემი რამ უნდა გამოეცხადებინა, მწერალი მეტად მხიარული იყო, იღრიჭებოდა, ოხუნჯობდა, ყბედობდა. ეს იმიტომ, უეჭველად, რომ გლეხებს რამდენჯერმე ეჩივლათ ამ მწერალისათვის—„მექრთამეა, ყალბს ქაღალდებს აკეთებს, გვიქენით სიკეთე, მოგვაშორეთ ეს მწერალი"-ო. მართალია, გლეხების საჩივარმა ვერც ერთხელ ვერ გასჭრა, რადგანაც, როგორც ამბობდნენ, „პრისტავი" მოსყიდული ჰყავდა მწერალს, გლეხების არზას ამ „პრისტავის" ხელში უნდა გაევლო და ისიც სათაურშივე აფუჭებდა გლეხების საჩივარს მწერლის შესახებ.

— „ამ ენა ჩასაწყვეტს უთუოდ რამე ავი ამბავი აქ გამოსაცხადებელი!-ო სთქვა ერთმა გლეხმა.

გლეხები მივიდნენ ყაბალახ მოხდილნი, გაჩერდნენ „კანცელარიის" წინ. მივიდა ბეჟუკიც, მაგრამ სხვა გლეხებივით ყაბალახი არ მოიხადა, ისე დაეყრდნო ჯოხზედ.

— აი, ვედომოსტში სწერია—დაიწყო მწერალმა—ჩვენ პოლიციას, ნებას გვაძლევენ თქვენი გაროზგვისას. ამ სიტყვებზედ მწერალმა მადიანად გაიღრიჯა. გლეხებმა გაკვირვებულის სახით შეჰხედეს მწერალს, რადგანაც მისის სიტყვებისა ფერეფერი გაიგეს.

— რას მიმზერთ? მიხდით? დღეიდგან მოწყებული, გლეხი, ვინც უნდა იყოს, გლეხი თუ კია, ყველა შეგვიძლია გავროზგოთ, პრიკაზი გამოსულა. აბა, თუ კაი ბიჭები ხართ, აწი დაიწყეთ თქვენებურა კლიაუზნიკობა და საჩივარი! აუხსნა მწერალმა.

— რა ამბავია, ბატონო, რას გვემართლებიან?—ჰკითხა ერთმა გლეხმა.

— იმას გემართლებიან, რომ კლიაუზნიკები ხართ და ჭკუა უნდა გასწავლონ.

— მარტო ჩვენზეა ეს ამბავი, თუ მთელი მილეთის გლეხობაზედ? ჰკითხა იმავე გლეხმა.

— ყველა გლეხებზეა. თქვენ უსწავლელი ხართ, ვედომოსტის წაკითხვა არ იცით, თორემ თითონ პრიკაზს წაიკითხავდით—გლეხები გაროზგეთო, ვითომდა აუხსნა კიდევ ყმაწვილმა.

— მართალია! სწავლული თუ ვიყოთ და რამე გვესმოდეს, არც შენისთანა ავაზაკს გავიბატონებდით და გავაყვლეფიებდით თავსაო,—ჩაილაპარაკა ერთმა გლეხმა თავისთვის.

„როზგის" გაგონებამ ზოგიერთ გლეხს ისეთი შიშის ფერი დასდო, რომ თითქო ეს-ეს არის, ეხლავე მიჰყავთ გასაწკეპლადაო. მაგრამ ზო-

რა სარგებლობას და შემოსავალს მოიტანს, საკმაო ცნობანი არა ჰქონდა საბჭოს.

დასასრულ საბჭო ამ დასკვნას დაადგა: 1) ამიერ-კავკასიის რკინის გზასთან მოსავალი შტოთა გაყვანა მიანდოს კერძო კაცთ, ან საზოგადოებათ და ეს გზა უზრუნველ ყოფილი ნუ იქნება მთავრობისაგან და ნურც სუფსიდია დაენიშნება; 2) მისავალ შტოთა გაყვანის ნება მიეცეთ, თუ ეს შტო ერთ მეტრზედ განიერი არ იქმნება.

*** იმავე გაზეთს აცნობებენ, რომ ამას წინად სტამბოლს სააკ მესროფიანის სახელობაზედ დაარსებულ პრემიის მისასაჯავად რამდენიმე თხზულება გასინჯეს და ეს პრემია აკუთვნეს ტფილისის მღვდელს გიუტ ალანიანცის ნაშრომს, რომელსაც ეწოდება „სომეხთა ისტორიის არხივი“. ეს შრომა შეეხება სომეხთა ამ საუკუნის ისტორიას და ორ ნაწილად არის: პირველი ნაწილი შეიცავს ისტორიას 1780—1805 წწ. და მეორე 1805—1830 წწ.

*** 14 ოქტომბერს სოფ. საგარეჯოს მცხოვრებელმა იოსებ დილმელოვმა პოლიციაში გამოაცხადა, რომ ამ თვის 11-ს ტფილისის მცხოვრებელი გიორგი ბერიშვილი წამეჩხუბა და მარჯვენა ხელში დამჭრაო. დამნაშავე შეიპყრეს.

## მთავრობის განკარგულებანი

ქუთაისის მაზრის ს. ზეკარის მცხოვრებთ მამასახლისის თანაშემწეს ზარამ დავითის ძეს გუბელაძეს და რომანოზ პავლეს ძეს გუბელაძეს უმაღლესად ებოძათ მენდლები გულზედ სატარებლად ზედ წარწერით: „ერთგულის სამსახურისათვის“.

ქუთაისის გუბერნიის, ბათუმის ოლქის უფროსი პოდპოლკოვნიკი სტეფანოვი ჩარიცხულ იქმნა სათადარიგო კავალერიის პოლკის პოდპოლკოვნიკად (ტფილისის მაზრაში).

ტფილისის ფოსტა-ტელეგრაფის მოხელე გიორგი ცალქალამანიძე გადაყვანილ იქმნა დიდ ჯამაგირზედ.

ყვირილის საფოსტო-ტელეგრაფის განყოფილების მოხელენი: მელქისედეკ დოლიძე, ფოთის ფოსტა-ტელეგრაფის მოხელე კოლეჟსკი სეკრეტარი გიორგი თუხარელი, დუშეთის ფოსტა-ტელეგრაფის მოხელე კოლეჟსკი რეგისტრატორი ევგენი იოსელიანი და ქუთაისის ფოსტა-ტელეგრაფის მოხელე ნაპოლეონ ხვათაძე გარდაყვანილ იქმნენ ფოსტა-ტელეგრაფის სხვა-და-სხვა კანტორებში: დოლიძე—ქ. ფაზისს, თუხარელი—ჯულფას, იოსელიანი—ხონს და ხვათაძე—სოხუმს.

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

**ს. ფლავი** (გორის მაზრა). სწორედ ძალიან კარგი იქნებოდა, რომ საქართველოს ყოველ დაბა, სოფლიდგან მოიწერებოდნენ: სად რა ძალა ჰქონდა უკვე განელებულს სენს; კარგი იქნება შეიტყონ, რომელი სოფელი გადარჩა ან სულ, ან ცოტათი მაინც, და ასეთი სოფელი სახელდობრ, რა გარემოებაში იყო, რა ვითარებაში ჰაერით, წყლით, ნიადაგით. ესე ყოველივე მიაგნებინებს კაცს ასავალსა და დასავალს იმ ავადმყოფობისას, რომლის გამოკვლევას ზედ შეეხალა ეს ამოდენა ნასწავლი ექიმ-მკურნალები. ჯერაც, მე მგონია, არ იციან ზედ მიწევნით ხოლერას რა უფრო უწყობს ხელსა, ან რა ჰავისა და ნიადაგის გარემოება აბრკოლებს, შხამიანობის ძალას უკარგავს. საკვირველია, რომ ბათუმსა და საზოგადოდ დასავლეთ საქართველოში, სადაც უიმისოდაც მუცელა და წელების ავადმყოფობა იცის, არა იყო-რა საიმისო და ამ ქართლში-კი ისე დარია ხელი. შიგა და შიგ აქეთკენაც გადარჩნენ სოფლები, მაგალითად: ხელთუბანი, ფლავი, ფლავის-მანი, ძეილეთი და მანგლისი, სადაც დიდი მისვლა-მოსვლა იყო მოაგარაკეთა. ფლავის გარეშემო სოფლებში: ქიწნისს, ტყვიავს, კარბსა და ვერსს ნახევარზე მდებარე ქერეშიაც-კი იყო ავადმყოფობა. ფლავის შესახებ უნდა ვიქონიოთ სახეში შემდეგი: მთელ გვერდის ძირზედ ამ სოფლისთანა მყუდრო და მივარდნილი ადგილი არ მეგულება; უკან ტყე აქვს და წინ ქართლის მინდორს გასცქერის. ჰაერი კარგი აქვს, წყალი პატარა ლიახვიდგან გამოგვყავს, თუმცა წყაროსაცა ვხმარობთ; ამ ზაფხულს სამი წილი მეტი პირდაპირ ლიახვსა სვამდა, მიუხედავად იმისა, რომ გვეყურებოდა: ან წყარო სვით ან მდინარეს ნადუღი წყალიო. თუმცა სანიტარებიც იყვნენ, როგორც ყველგან, მაგრამ უსუფთაობა და უფაქიზობა ჩვენშიაც ძიელა მეფობს. საჭმელსაც ისეთს ვეწყობით, როგორსაც ჩვენს მეზობელს სოფლებში, სადაც მტუტა ადინა ხორველამ. რაც შეეხება სოფლის შეკვრას, კარანტინს, ტყვიავისთანა შეკვრა აღარ შეიძლებოდა, მაგრამ მაინც ხოლერამ არ დაინდო. თითქმის განგებ კვლავინდებური ციებ-ცხელებაც არსად იყო ჩვენ სოფელში. არ ვიცი, შიშის გამო, ხალხი ყველაზედ ფრთხილობდა და ისე არ ეტანებოდა ხიბა-ხუბას, თუ სხვა რამ მიზეზი იყო, ფრჩხილიც თითქმის არავის წამოსტკივებია. ძველად ხორველის მომსწრენი ჩვენში ამბობენ: „დიდ-ხორველობას ორი, სამის მეტი არავინ დაგვზარალებიაო“. ეს გარემოება, მგონია, რომ სახეში მისაღები იყოს. რო გაჩენილიყო-კი, თქვენი მტერი ჩვენი საქმე იქნებოდა. ვინ გვიშველიდა? არც თავად-აზნაურთა ბანკის აგენტები, არც სხვა ვინმე არ გვინახავს ჩვენს სოფელში. არც პარველ-საშველი წამლები გაჩენილა ჩვენს ბედობაზე. მარტო მაზრის მარშალმა შემოიარა ორჯელ და იკითხა სოფლის ამბავი. ჩვენის აზრით, ეხლა ბევრად ადვილია, სოფელს ყურადღება მიექცეს, ვიდრე წინად იყო. ეხლა მაზრა ნაწილ-ნაწილ არის დაყოფილი, ყველგან ბოქაულია, რომელსაც შეუძლიან ყური უგდოს სოფელს, გლეხკაცობას, ამ გაუგებარს და საცოდავს გლეხ-კაცობას, როგორც ხან-და-ხან სულ უბრალო მიზეზი ათას ზარალს აძლევს, სულ უბრალო ფეხის-წაბორძიკება ჰირადაცა ჰყოფნის და ლხინადაც. მარტო მიწერ-მოწერით არა გაკეთდებარა. ვიდრე „რაპორტი“ და ქაღალდი 20 ვერსზე წავა და წამოვა, თვით გულ-შემატკივარმა შეიძლება 10—20 სოფელი მოიაროს, ყველას ყურში ჩააწვეთოს მისთვის სასიკეთო, ყველას ჩააგონოს, რაც ასაშენებელია ოჯახისა. იქნება მეტის უარესი უბედურება მოგველის და 2 მანათის პირველსაშველი წამლები როგორ არ უნდა იყოს ყოველ სოფელში საგაზაფხულოდ?!. საქმე გულია და! გული უნდა გულობდეს, თორემ ქადა ორის ხელით იჭმებაო.

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდგან)

«Правит. Вѣстн.»-ში დაბეჭდილია:

> რადგანაც ხოლერა საკმაოდ განელდა რუსეთში, ამიტომ ოფიციალური ცნობანი ხოლერის შესახებ კვირაში ერთხელ დაიბეჭდება.

ამ გვარადაო, სწერს გაზეთი „Новости“, გვგონია, ჯერ-ჯერობით „გადავრჩით“ მარშანდელს მოუსავლობასა და წლევანდელს ხოლერას. მაგრამ აბა ვნახოთ, როგორ «გადავრჩით» ამ ორს უბედურობას? ჯერ მარტო სახელმწიფოს ბიუჯეტის განხილვა გვიჩვენებს, რა დიდად დაზარალდა ამ ორ წელს რუსეთის სახელმწიფო. 1891 წლის სახელმწიფო გასავალი 180.977,163 მან. და 83 კაპეიკით სჭარბობს შემოსავალს. რა თქმა უნდა, რომ იმავე მიზეზით რუსეთის მეურნეობა შესამჩნევად დაქვეითდა და ორიოდ სამის წლის შრომა და მეცადინეობა მაინც დასჭირდება სახელმწიფოს, რომ მეურნეობა ფეხზედ წამოაყენოს. ხოლერამაც ძლიერ დაგვაზარალა. მარტო ოფიციალურ ცნობით მთელს რუსეთს 200,000-მდე კაცი გამოაცალა ხელიდგან ხოლერამ და ზოგიერთი ქალაქები (ბაქო, სარატოვი, ასტრახანი) თითქმის გაანადგურა. ამას დაუმატეთ კიდევ, რამდენი კაცი იმსხვერპლა სახადმა და სხვა-და-სხვა ავადმყოფობამ. ამდენს ხალხს ზოგჯერ ომიც არ იმსხვერპლის ხოლმე!

მოდი და ნუ იტყვი ამას იქით, რომ აუცილებლად საჭიროა, სახელმწიფომ მომეტებულად იზრუნოს ერის კეთილდღეობისთვისაო? მართალია, „ჭირსა შიგან გამაგრება“ ძლიერ კარგია, მაგრამ, გვგონია-კი, რომ ჭირის ასაცილებლად ზრუნვა და მეცადინეობა უფრო კარგი უნდა იყოს. ამიტომ საჭიროა სასანიტარო დასები მარტო გადამდებ სენის დროს-კი არ გამოტყვრნენ ხოლმე, არამედ მუდმივ შრომობდნენ ქალაქებისა და დაბა-სოფლების დაწმენდა-დასუფთავებისთვის. საჭიროა აგრეთვე სახელმწიფომ მომეტებული მკურნალი და ფერშალი იყოლიოს და რაც შეიძლება მეტი სკოლები გაჰმართოს მდაბიო ხალხისთვის, რომ ერთხელაც არის ეშველოს რამე ხალხის უმეცრებას.

---

გიერთ ვაჟკაც გლეხს თვალები რაღაცას მრისხანების ნაპერწკალით გაუბრწყინდა, თითქო რაღაცას უნდა შეებრძოლონო. აზნაურებმა ყური დაუგდეს ამ ამბავს და, რა გაიგეს—„როზგი“ მარტო გლეხების შესახებ არის ნაბძანებიო, ნიშის მოგებით დაიწყეს ლაპარაკი:

— „ძაან კაი უქნიან, ბატონო! აღარ ქონდა გლეხების უთაურობას საზღვარი! დაკარქეს ღვთის და უფროსის (ზოგი „უფროსის“ მაგიერს „ბატონისას“-ო ამბობდა) მორიდება და შიში! ეგება აწი მაინც გაარჩიოს კაცმა, ვინ უფროსია და ვინ უმცროსი (მოხუცი აზნაურები ამბობდნენ: „ვინ ბატონია და ვინ ყმაი“-ო)!“

— Вы ошибаетесь, вы ошибаетесь. Это не совсемъ такъ, какъ вы объявили.—(უთხრა მწერალს მღვდელმა (ეს მღვდელი სემინარიაში ნასწავლი იყო), რომელმაც მოასწრო მწერლის ხელში დაჭერილი „Вѣдомости“-ში თვალის ჩავლება და შემდეგ ეშმაკურის ღიმილით უყურებდა მწერლის ახირებულ-სასაცილო ლაპარაკს, ანუ „გამოცხადებას“. ბოლოს გამოართვა მწერალს „Вѣдомости“, წაიკითხა ხმა-მაღლა და აუხსნა რუსულად ამ ახალის „ბრძანების“ ნამდვილი დედა-აზრი. მწერალი გაიწურა სირცხვილით. თუმცა მღვდელი მწერალ დიაკვნიშვილის კარგი მეგობარი იყო და, როცა გლეხებს მწერალზედ საჩივარი ჰქონდათ, მღვდელს მწერლის მხარე ეჭირა (ალბად თავის ადგილზედ ეს მწერალიც საჭირო და გამოსადეგი კაცი იყო მღვდლისთვის), მაგრამ ეხლა, „ხალხში რად შემარცხვინა“-ო, ისეთის მტრულის თვალებით შეჰხედა მწერალმა მღვდელს, რომ გეგონებოდათ—ხელში ჩაუვარდეს, კბილით შემოაგლეჯს ხორცსაო.

გლეხები მოშორდნენ „კანცელარიას“ და დასხდნენ ისევ იმ ხის ძირში, სადაც პირველად ისხდნენ. მაგრამ „როზგის“ შესახებ ლაპარაკი მაინც ჯერ ვერ გაეთავებინათ. იმათ სწორედ ისე ეგონათ საქმე, როგორც მწერალმა გამოუცხადა. მღვდლის განმარტებისა გლეხებმა ვერა გაიგესრა, რადგანაც მღვდელი რუსულად ელაპარაკებოდა, ანუ, უკეთ ვსთქვათ, უხსნიდა მწერალს. „არა, ძმავ, აგი ნამეტარი გაბათილებაა კაცის! იფიქრე, ამ ხელა კაცი ახლა გამაშიშვლონ და წკნელით გამსისხლონ! ამას სიკვტილი ჯობს!“ ამბობდა ერთი. „არა, ძმავ, ცოდვა გამჟღავნებული ჯობს; როზგი რომ დამკრან, მერე არც თავი მინდა ცოცხალი და არც იმ როზგის დამკვრელს ვაცოცხლებ!“ ამბობდა მეორე. „უი, ჩემო ძმაო, ნუ დაგვკრენ, თვარა მერე ვერც თავს გეიმეტებ და ვეღარც სხვას მოკლავ“, ეუბნებოდა მეოთხე.

ამ დროს ბეჟუკიმ, რომელიც ისევ იმავე მორგვზედ დამჯდარიყო, რომელზედაც „Вѣдомости“-ს წაკითხვამდე იჯდა, დასცალა თავის ჩიბუხი, ერთი დინჯად გაიხედა იქითაქეთ და დაიწყო:

—- „როზგი!.. მე მახსოვს დამნაშავეს რომ როზგავდენ. მაშვინ ბატონ-ყმობა იყო. როზგი ჩვენი სამართლის განაჩენი არ არის, რუსებმა მეიტანა ჩვენში. უნდა ვსთქვა, რომ ჩვენშიც ძალიანი მძიმე სასჯელი იცოდენ ძველათ: თვალების დათხრა, ჩაკირვა, ყურის მოჭრა, ცხვირის მოჭრა, ლაფის დასხმა, რა ვიცი, ათასი! მარა ახლანდელი კაცი და როზგი!... არ ვიცი, კაცია და გუნება! ყველაის გული ვერ ეიტანს! უწინ რომ ჩვენში როზგი გააჩინეს, მე მაშინ ბალანაი ვიყავი,—მებატონეებს გეუხარდა—შინა ყმებს შიში ექნებაო. ახლა არ ვთქვი: კაცია და გუნება! ზოგი მართლაც შეაშინა. მარა ზოგი სამაგიეროდ სულ თლათ გააცობა! შორს რაღას მივალ, მე სამი ამბავი მახსოვს, ჩვენს მეზობლობაში რომ იქნა: დათიკელაი, ჩვენი სიმონიკაი რომაა, იმის მამა, ხელღონიერი ბიჭი იყო და ვაგლახათ ბატონს თავს არ უდობდა. მივიდა ბატონმა და ვეზდის ნაჩალიკს შეეხვეწა—ასე და ასეაო. დაიბარეს, შენ ხარ ჩემი ბატონი, აგი ბიჭი, წამოაწვინეს და ტყავი აძვრეს როზგით! იი დღეი დღეთ დასვთალა და მერე ბატონის ურჩობა იმ ბიჭს აღარ გაუწევია.

„მეორე, თქვენც გაგონილი გექნება, ბესიელა ტყავაძეს როზგის დაკვრით ბნედა ოუტყდა და ესე მოკტა, რომ აღარ მორჩენილა. მარა აგი რაა!.. ლევანიკაი რომ გამახსენდება!.. იმისთანაი უწყინარი, იმისთანაი ტკპილი ენის, ჯინჭველს ფეხს არ დაადგამსო რომ იტყვიან, იგი იყო. მერე ქალსავით სათუთი, სუსტი აგებულობის. კიდეც ვეხუმრებოდით: ბიჭო, შენ ერთი კაი ყოჩალი დედაკაცი რომ შეგხთეს, სარტყელს ჩაგაბამს და, სადაც უნდა, იქინეი წაგიყვანსო. მისგან ჩხუბი და ხმა-მაღალი სიტყვა კაცს არ გოუგონია. შეიძულა წაწყმენდილმა მისმა ბატონმა აგი ბიჭი, მარა პაწაი-კი აღარა, შესაჭმელად მოინდომა. ახლა იგიც მიწაშია, ღმერთმა შეუნდოს და ესე ქალბატონის გამოისობით-კი მოხთა იი საშინელი საქმე: ლევანიკაის ბატონი ჩოფანო, უსახიერო კაცი იყო. ცოლი იმისთანაი ყავდა, რომ იმისთანაი ლამაზი ქალი იმ დროს ჩვენ მუხურში მეტი არ ყოფილა. ვინ არ იცის, რომ იმისთანაი ქალი იმ გლახა ქმარის ამარაი არ დადგებოდა. ამოიჩემა ამ ქალმა აგი ბიჭი და თვალზე აღარ იშორებდა. ავის მეტი კაი რა დამართა მისმა თვალადობამ, მარა იმისთანაი ლამაზი სახის იყო უბედური იგი ბიჭი, იმისთანაი, რომ საყდარზე რომ გამოვიდოდა, ქალებს თვალი ზეთ რჩებოდა... ჰო, იმას ვჩიოდი, შეიძულა ლევანიკაი ბატონმა. ყველაი ვხედავდით, კას აღარ დამართებდა, ან ჩუმათაი ან ცხადათაი რაცხას მოუხერხებდა, მარა ქალბატონი ბიჭის მხარეზე იყო და იმის იმედი გვქონდა“.

„ერთ დღეს ჩვენ სოფელში,—აღარ მახსოვს რა საქმეზე,—ვეზდის ნაჩალიკი მოვიდა და სადილად ერთს თავადიშვილს ესტუმრა. ლევანიკაის ბატონიც იქინეია. რა ვიცი, რა უთხრა იმ სულ უბედურმა იმისთანაი ნაჩალიკს იმ ბიჭზე! გაგზავნეს კაცი და დაიბარეს ლევანიკაი. მოვიდა.

— ბიჭო, შენ რაზბონიკო! ბატონის ოჯახს ყმისაგან ერთგულობა უნდა, თუ გაქურდვა და გახიპაკვაო? უთხრა ნაჩალიკმა ფეხების ბატყუნით ამ ბიჭს.

„ბიჭი პირველად შეშინდა, ენა დაება და ხმა ველარ ამოიღო. მერე რავარც იყო, დასძრა ენა და უთხრა:

—რას მიბრძანებთ, ბატონო, რა ქურდობაა! ჩემს სიცოცხლეში თუ ქურდობა მექნას, ჩემს მეზობლებს მოჰკითხეთო. აბა მაშინ მართალი იყავი, ტყვანი იყავი, ამაზე ვინ გალაპარაკებდა! წეიყვანეთ და გაროზგეთო! ბრძანა ნაჩალიკმა. ყველა მის მეზობლებს გვეწყინა. მარა გვე-

# რუსეთი

მოსკოვში განუძრახავთ ფრიად სასარგებლო საზოგადოება დააარსონ. საზოგადოებას სახელად ეწოდება: „Общество содѣйствія здоровому воспитанію дѣтей“. ამ საზოგადოების წესდების პროექტიც დაუმტკიცებიათ. საზოგადოებას უმთავრესს საგნად ექმნება გაავრცელოს მშობლებთა და აღმზრდელთა შორის სამეცნიერო ცოდნა საღად ყმაწვილების აღზრდის შესახებ; საზოგადოება დრო და დრო კრებას მოახდენს ხოლმე; კრებაზედ წაიკითხავენ წერილებს და სჯა ექმნებათ ახალ თაობის რიგიანად აღზრდის შესახებ; გაიმართება ბიბლიოთეკები და მუზეი სათამაშოებისა და სხვა ისეთ საგნებისა, რომელიც შეეფერება სწავლა-აღზრდის საქმეს, გაიმართება აგრეთვე შესაფერ საგნების გამოფენა და სხვა და სხვანი. სხვათა შორის საზოგადოებას საგნად აქვს, დრო და დრო საბავშო დილა გაჰმართოს და ყმაწვილების ქალაქ გარედ სეირნობა მასწავლებელთა ხელმძღვანელობით. ამ საზოგადოების შესახებ რუსეთის ერთი მწერალი იმეორებს სპენსერის სიტყვებს თანამედროვე სწავლა-აღზრდის შესახებ: „სხვა რა სახელს უწოდებთ, თუ არ დამახინჯებას ისეთს აღზრდას, რომელიც ახალ თაობას უგუნურების მსხვერპლად ჰხდის და ამ ახალ თაობის ბედ-იღბალი დამოკიდებულია უგუნურ გადიებსა და ცრუმორწმუნე ბებიებზედ“. ერთი პედაგოგისა არ იყოს, აღმზრდელს უნდა ჰქონდეს მოთმინება, ბუნებრივი ნიჭი და გამოცდილება სწავლა-აღზრდის საქმეში.

აი სწორედ ასეთი სამეცნიერო ცოდნის გასავრცელებლად მშობლებსა დ აღმზრდელთა შორის არსდება ზემოდ აღნიშნული საზოგადოება, რომელსაც არ შეიძლება დიდი თანაგრძნობით არ მიეგებოს კაცი და არ ისურვოს ჩქარა მისი განხორციელება მარტო იქ-კი არა, სადაც განუზრახავთ ამ საზოგადოების დაარსება, — არამედ სხვა ქალაქებშიაც, რომ ასეთი საზოგადოების შემწეობით აღიზარდოს საღი თაობა მომავალში, როგორც ჭკუა-გონებით, აგრეთვე სხეულითაც. განა, ტყუილად უთქვამთ ძველად ბერძნებს: „საღი ჭკუა საღს სხეულში ეძიეთო“.

— პეტერბურგის უმაღლესს საქალებო კურსებს მეოთხე კურსიც მიუმატეს. სულ მსმენელი ლექციებისა ახალ შემოსულებიანად 400-მდეა. ამ დღეებში აქტიც მოხდება.

— ამერიკის საინჟენერო და სატეხნიკო საზოგადოებათ წერილი გამოუგზავნეს რუსეთის ინჟენერთა და ტეხნიკებს იმის შესახებ, რომ ჩიკაგოს გამოფენაზედ დასასწრებლად ყოველ გვარ დახმარებას და სტუმართმოყვარეობას აღმოგიჩენთო.

— სახელმწიფო საბჭოს წარედგინა პროექტი ახალის კანონისა დუელის შესახებ. ამ კანონის ძალით დუელში კაცის მკვლელი უნდა დაისაჯოს ექვსის წლით დაპატიმრებითა. თუ დუელში კაცი მძიმედ დაიჭრა, დამნაშავეს სამის წლით დააპატიმრებენ; თუ დუელში არავინ დაშავდა, ხმალში გასულთ ექვსის თვეით დაპატიმრებით დასჯიან.

— ჩიკაგოს გამოფენაზედ რუსეთის განყოფილების გამართვას 800,000 მანათამდე სჭირდება თურმე.

— დამშეულთა სასარგებლოდ მეორე სალატარიო ბილეთებიდგან გაუყიდავი დარჩენილა 36,000 ბილეთი, სულ 184,000 მანეთისა.

## რა მნიშვნელობა აქვს სქესს აღზრდა-სწავლის საქმეში

ამ საგნის შესახებ საყურადღებო ლექცია წაიკითხა ლონდონის სამკურნალო საზოგადოებაში ექიმმა—ფსიხიატრმა სერ ჯემს კრიკტონ-ბროუნმა. ლექტორს შეეკრიბა ყოველივე საბუთი იმის შესახებ, თუ რამდენადა ჰვნებს ყმაწვილ ქალებს მეტისმეტი და გადაჭარბებული გონებრივი მუშაობა. კრიკტონ-ბროუნი დიდი წინააღმდეგია იმ აზრისა, ვითომ ქალისა და კაცის ნიჭს შორის არავითარი განსხვავება არ არისო, ამის გამო ერთ გვარად უნდა აღიზარდნენ და ნებაც მიეცეთ ყოველსავე ხელობა-ხელოვნებაში ერთმანეთს ქიშპი და ჯიბრი გაუწიონო. ბროუნიც ინგლისის ფსიხოლოგ ფორსტერის აზრისაა და ამბობს, მამაკაცი მხნეა, ადვილად ხელმიმყოფი ახალის საქმისა, ვნებით აღსავსე და ძალოვანი, დედაკაცი-კი ყოველისავე უფრო ადვილად შემთვისებელი, წყნარი, სიყვარულით აღსავსე და უფრო გულდადებული. ამ განსხვავების თანახმად განსხვავდება იმათის ტვინის აგებულებაც. ამ მხრივ-კი ბროუნი დიდი მცოდნეა თავისის საქმისა, რადგან დიდად დიდ-ძალი ტვინი აქვს აწონილი, გაზომილი და გასინჯული. ეს განსხვავება ტვინის აგებულებისა უფრო მაშინ იჩენს ხოლმე თავს, როდესაც ქალი თუ კაცი ჰასაკში შედის. აღზრდის საქმე მხოლოდ მაშინ განკარგდება, თუ ტვინის აგებულების განვითარების ყოველივე წვლილი დანახულია. სამწუხაროდ, ამ გარემოებას ისე რიგად მნიშვნელობიანად არა სთვლიან. ესრედ წოდებული ინგლისის უმაღლესი დედათა სასწავლებლები სცდილობენ ქალიც ისე აღზარდონ, როგორც მამაკაცები აღიზრდებიან, და აგერ, ბროუნი ამტკიცებს, ეს შეუძლებელია და დიდად აზარალებს და ავნებს ქალის ჯან-მრთელობასაო. ერთს ზემოდ დასახელებულს სასწავლებელში, მაგალითებრ, ბროუნს მოსწავლე ქალები დაუსინჯავს და 187 ქალს შორის 137 თავის ხშირი ტკივილი შეუჩივლია, 37 ბეცი ყოფილა და 4 ბნედიანი. სასწავლებლიდგან დაბრუნებისას ქალები, როდესაც ტვინი სრულიად დაღალული აქვთ, იძულებულნი არიან ორიოდე საათს კიდევ იმუშაონ. ბოლოს აქედგან მხოლოდ ის გამოდის, რომ ახალგაზდობა სნეულდება და სწავლის მხრივ უკან რჩებიან. ამ სასწავლებლების მოსწავლენი სჩივიან, სწავლაზედ ისე ველარ მივდევნებია გულის-ყური, იმ საქმეს, რომელსაც წინად ჩქარა ვაკეთებდით, ეხლა უფრო დიდხანს ვუნდებით, ხშირად წაკითხული ვერ გაგვიგია, გვავიწყდება დასწავლული და გრძნობა-დაკარგულსავითა ვართ, გული უფრო ადვილად გვიანჩხლდება და მოშვებულსავითა ვართო. შემდეგ ბრონმა ის სნეულებანიც დაასახელა თურმე, რომელნიც, მისი აზრით, შედეგია ყმაწვილ ქალთა დუხჭირად აღზრდისა. სხვათა შორის მან სთქვა, რომ ჭლექი 10—20 წლოვან ქალთა შორის უფრო ხშირია, ვიდრე ყმაწვილ კაცთა შორისაო.

## წვრილი ამბავი

ინგლისის შესანიშნავს ტრაგიკოსს აირა ოლრიჯის ძალიან უყვარდა თურმე კუჭის განებივრება და ორიოდე საჭმელს თითონვე, თავისის ხელით სიუცხოოდ აკეთებდა.

ერთხელ ოდესიდგან გემით მიდიოდა, შეიტყო, რომ გემის მზარეული ავად გამხდარა, შევიდა სამზარეულოში, მზარეულის ტანისამოსში გამოეწყო და ხელი მიჰყო თავისთვის ბიფშტექსის კეთებას.

— ოჰო, ახალი მზარეული დაგიჭერიათო? ჰკითხულობდნენ თურმე ბერძენი—ვაჭრები, რომელთაც-კი ამღლავებზე ოლრიჯი დაინახეს.

— ზანგი და მზარეულიო! უკვირდათ მეორეებს. ზოგიერთნი ამ გემზედ მგზავრთაგანი ოლრიჯთან ერთად ერთს ქალაქში გადმოვიდნენ და როდესაც შეიტყეს, რომ ჩვენ მიერ გემის სამზარეულოში ნანახი ზანგი თეატრში „ოტელლოს“ როლს ითამაშებსო, მთელს ქალაქში მოჰფინეს ხმა: თეატრის მეთაური გაგვატყუებს, გემის მზარეული მოუწვევია და უნდა შესანიშნავ ტრაგიკოსად შემოგვატყუოსო.

აგერ დაიწყო კიდეც წარმოდგენა, ოლრიჯი იმ როლს თამაშობს, რომლითაც აღტაცებაში მოჰყავს მთელი ქვეყანა, როლს „ვენეციელის ზანგისას“. თეატრში ორიოდე კაცის მეტი სულ არავინ არის, არტისტს საზოგადოება ვერ დაუკმაყოფილებია, მისი თამაშობა არ მოსწონთ. გენიოსი ტრაგიკოსი მეორე დღესვე გაეშორა წყეულს ქალაქს, სადაც მისი ნიჭი ვერ დააფასეს. თეატრის მეთაური სასოწარკვეთილებით თმებს იბდღვნის. ამ დროს ვიღამაც აუხსნა თურმე მიზეზი საზოგადოების გულგრილობისა.

— აა, მაშ მე თქვენ გაჩვენებთ ნამდვილს ტრაგიკოსსაო! სთქვა მან და თავისი ერთი უბრალო არტისტი დაიყოლია, სახე გაიშავა, გემიდგან ეტლით თეატრამდე წამოგიყვან და მეორე დღეს-კი იმავე სახით „ოტელლო“ წარმოადგინეო. მთელს ქალაქში გაისმა ხმა, რომ ძლივს, მადლობა ღმერთს, ნამდვილი ოლრიჯი ჩამოიყვანაო, და მთელი თეატრი ავსებით აივსო.

საწყალოდ დაისწავლა არტისტმა როლი, თეატრში ჭყრიალებდა, ჭყმუოდა, ჭყლაოდა, კბილებს აკრაჭუნებდა და... საზოგადოება აღტაცებით ცას იყო დაწეული.

— განა არ ეტყობა, რომ ჭეშმარიტი არტისტია, ნამდვილი ოლრიჯი ეს არისო, გაისმოდა ხალხში: არა, ჩვენი მოტყუება რომ უნდოდა და მზარეულს ოლრიჯობა უწყალობა, რა ეგონა, რას მოგვატყუებდითო.

შემდეგ ოლრიჯმაც შეიტყო ეს ამბავი და გადიხარხარებდა ხოლმე, როდესაც თითონვე უამბობდა ნაცნობებს.

— ამერიკის ერთმა ქალმა ამას წინად ერთი არა-ჩვეულებრივი, საოცარი საქმე ჩაიდინა თურმე და ამით დიდი

---

წყინა და მეტი არაფერი. „წეიყვანეთ!“ დეიყვირა კიდევ ნაჩალიკმა. — „ვერა ბატონო, ვერ გამროზგავთო“. უთხრა ბიჭმა. — „ამდენი და ამდენი მეტი დაჰკარით ამ რაზბონიკსაო“, დეიყვირა ნაჩალიკმა.

— „აბა ბიჭია და ვინმემ გაბედოს!“ დეიძახა ამ ბიჭმა და ცეცხლსავით დაანთო თვალები. დედავ, ხომ არ გაცოფთა აგი ბიჭი დღეს! — ვჩივით გულში. გაცეცხლებული ნაჩალიკი მივარდა და დეუწყო მათრახით ცემა. ლევანიკამ დააპირა ხელის შებრუნება, მარა მიცვინდნენ ნაჩალიკის კაცები და შეკრეს უბედური. გამიშვით, თვარა ნაჩალიკის სისხლს თქვენზედ ამევიღებო, ყვიროდა, მარა გაშობით ვილა გუუშობდა! ამ უბედურმა თლათ დალუპა თავის თავიო, ვთქვით მეზობლებმა. წაათრიეს, შენ ხარ ჩემი ბატონი, გააშიშვლეს და, ჩვენმა მტერმა ნახოს იმისთანაი სანახავი, სულ სისხლით დასოლდა იქაურობა! „აწი წადი და ემსახურე ბატონს. თუ რამე მოგიპარავს, ამაზე უარეს გიზამთ, იცოდეო!“ — უბძანა ნაჩალიკმა და გაბრუნდა სახლში.

„ბიჭი გუუშვეს. მეგონა ატირებული იქნება-მეთქი. შევხედე, რას ქვია, ვის ქვია! ისე უბრიალებდა თვალები, რავაც ცოფიან მგელს. მე მივედი და მაინც ვანუგეშე: რა ვუყოთ, ლევანიკავ, კანონის საქმეა, გული არ გეიტეხო-მეთქი.

— რა გამიტეხს გულს! იმდონმა კაცმა ერთ კაცს მომერია, რა გასაკვირალია! მარა არაფერიაო, დაატანა ბოლოს მწარეთ. მე არ მიამა აი სიტყვა და ვუთხარი: ბიჭო, არაფერი იფიქრო, თლათ არ დაღუპო შენი თავი-მეთქი.

— რაი! თქვენისთანა კაცებს მაინც-კი შეუძლია რაც მე მიყვეს, იმის ატანა, მარა მე ღმერთმა დღეის იქით ერთი დღენუღარ მაცოცხლოსო, იმ ნაირათ მითხრა აგი სიტყვები და შამომხედა, რომ მე ენა ჩამივარდა. შეირტყა ამ ბიჭმა წელზე და წევიდა, მისი ბატონი რომ იჯდა, იქით. მე, ისე უცნობად გავყევი უკან. რას აპირობს, რა ვიცი! თურმე ამ ბიჭს დანა ჰქონებია, პაწაი დანა, ერთი ტკაველი კიდევ არ იქნებოდა რკინა. ამ ბიჭის ბატონი გამხიარულებული სახით ზის ფეხი-ფეხზე გადადობილი და სწევს თუთუნს. მივიდა აგი ბიჭი, მივიდა, გამეიღო დამალული დანა, დაჰკრა გულში და ენაც აღარ მოუსწრია იმ სულ უბედურს მებატონეს, ისე ამოხთა სული. თურმე აგი რაჲ, სისხლის ღვარი დადგება დღეს აქანაი! დატრიალდა ამ ბიჭმაც ცოფიანსავით, დაჰკრა კაკალ ყურთან დანა ნაჩალიკის კაცს და ჩააწვინა უსულოთ! ახლა იასაული მივარდა, ხელში ვეცემი ლევანიკასაო, მისვლა და იასაულის შიგანის გადმოყრა ერთი იყო; ვინ ხელის მოკიდება კი მეინდომა, უსისხლოთ არც ერთი არ გაუშვია. ერთ რუსს—ნაჩალიკს სამი რუსი იახლა—ში კაკალ თვალში ჩაჰკრა დანა. არა, ნამეტარი საშიში-კი არის, კაცი რომ თავს შეიძულებს! ყველას სიკვდილის ეშინიან და იმას-კი სიკვდილი მოსწყურებია! ახლა რაღაით გინდა შეაშინოთ ამისთანაი კაცი? მოკლავ? იგი უნდა მასაც, არა-და ტრიალებს, რავაც ცოფიანი, ისე!.. ჰმ!.. მე რომ იმ ბიჭის მაშინდელი სახე გამახსენდება! მეტი, მგონია, არც მინახავს იმ ნაირათ კაცს სახე გახდომოდეს, რომ შეხედავდი, იტყოდი, — თითო ლუკმობით რომ დაათალო ხორცი, ამას მაინც არ ეტკინებაო. უნდოდა უბედურს ნაჩალიკთან მიტანება, მარა ძაან უფრთხილდებოდა იი ნაჩალიკიც თავს, ოთახში დეიმალა, კარები ჩეიკეტა და იქიდგან ყვიროდა: დერჟი, უბეი, დერჟი, უბეიო. მივარდა ხომ ლევანიკამ კარებზედ. სკამი იყო კართან, წამოუსვა ხელი და ისე-კი დაჰკრა, რომ მეორე ჯერ რომ კიდევ მოესრო, კარებს შეამტვრევდა და ნაჩალიკსაც მზეს დუუბნელებდა. მარა გადურჩა! ე, მეორეჯერ რომ კიდევ უნდა დეეკრა სკამი კარზედ, მიეპარა ამ ბიჭს მისივე მეზობელი, დაჰკრა თავში და გააგორა. მართალი უთქვამს, ვინცლამ თქვა: თავი ვინ მოგჰკრა და მკვიდრმა ძმამაო. ხეი რომ წეიქცევა, ცულიანი და უცულო ყველა თავზედ დაადგება. მიწაზედ დაცემული რომ დეინახეს, შამოაცვიდნენ იქიდან-აქედგან; ისე შეკრეს, ისე შეკრეს, რომ ტანიდგან სისხლი მოსდიოდა. შეკრულიაო რომ გეიგო, გამობრძანდა ნაჩალიკიც და დაუშინა მათრახი. მარა, არ ვიცი, გაქვავდა მისი ტანი, თუ რა დეემართა, ლევანიკას წარბიც არ გუუნძრევია იმ ცემაზედ. „ვაი, გაგიწყრა გამჩენი, თვარა ერთი წამი რომ დამცლოდა, დაგიბნელებდი სიცოცხლესო“, — უთხრა ნაჩალიკს.

— შენ უღმერთოვ, ამდონი საცოდავი კაცის ცოდვა რომ ჩეიკერე, რას ერჩოდი, აგინმა ბძანება აასრულეს, თვითან ხომ არაფერ შუაში იყვენო? დაუწყო ხალხმა საყვედური ლევანიკას.

— რა ვიცი მე, ბძანება აასრულეს, რა ქნეს! მე ვინც დამკრა, მეც იმას დავჰკარიო, უპასუხა ლევანიკამ.

„ბოლოს ლევანიკაი დააკრეს ცხენზედ, თავის ფეხით არაფერის გულისთვის არ დაიძრა. ნაჩალიკმა უთხრა: შენი ნაკაზანია თოფით დახვრეტააო. ლევანიკამ დაიყარა მწარე სიცილი და ჰკითხა: ვითამ-და ახლა ძალიან შემაშინე, გგონია“...

„ლევანიკაის დახვრეტის დროშ რომ მოაწია, მე შევიტყე და წევედი საყურებლათ. არა, უნდა ვთქვა, ესე ვაჟკაცურად სიკვდილს, სიკვდილი არ ქვია! კაცი სასიკვდილოდ გამეიყვანეს და ისე სახე გაურყეველათ გამოვიდა, ვითამ-და თავის ლოგინზედ მივა დასაწოლათო. უფროსმა ჰკითხა: „არ გეშინიანო? — რაის მეშინია! ერთ დღეს დევიბადე და ძაან კარგათ ვიცოდი, ერთს დღეს უნდა მომკვდარიყავი. რაც თქეენ მიყავით, მას მერე თქვენ რომ არ მოგეკალით, ჩემი ხელით უნდა მომეკლა ჩემი თავიო. მართალიც არის, „სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა, სიკვდილი სახელოვანიო“, ნათქვამია. იმ ბიჭმაც თავის რიგზედ სახელი ქნა — და ისე მოკვდა.

„ასეა, ჩემო ბიძია, კაცია და გუნება! ქვეყანაზედ დათიკელაისთანაიც ბევრია, რომ გაროზგეს და მერე შეშინდა, ბესიკელაისთანაიც — რომ დაგლახაკდა, და ლევანიკაისთანაიც, გაბათილებას რომ უსისხლოთ არ შეგარჩენს, სირცხვილეულ სიცოცხლეს რომ სიკვდილი ურჩევნია“...

ბეჟუკიმ გაათავა ამბავი, აავსო თუთუნით თავისი ჩიბუხი და დაუწყო წევა. გლეხებმა დიდხანს ილაპარაკეს „როზგის“ შესახებ და კიდევ ბევრს ილაპარაკებდნენ, მაგრამ ზოგს მამასახლისმა დაუძახა, ზოგს მსაჯულებმა და შესწყვიტეს ბაასი.

ე. ნინოშვილი

25 ივლისი 1892 წ.
ს. გომი

ცოდნა და უნარი გამოიჩინა ვექილობის ხელოვნებისა. სასამართლოში იცავდა ქმრის მკვლელს ქალს, რომელსაც ის ბრალი ედებოდა, რომ ქადით მოეწამლა თავისი ქმარი. იმ მოწამლულის ქადის ერთი ნაჭერი იქავე, სასამართლოში იდო. ექიმებმა, რომელთაც გვამი გასჭრეს და აგრეთვე ის ქადის ნაჭერიც გასინჯეს, გადაწყვეტით განაცხადეს, რომ ამ ქადით არის მოწამლული. ბრალ-მდებელმა დიდის მრისხანებით დაიწყო ლაპარაკი, საქმე აშკარა იყო, დანაშაული დამტკიცებულია. ეჭვიც კი არავისა ჰქონდა, რომ ქალს დამნაშავედ იცნობენ და დასჯიანო. მაგრამ ნიჭიერმა ვექილმა სულ სხვ'ფრივ გადაატრიალა თურმე საქმე. წამოდგა ვექილი და გრძელი სიტყვა წარმოსთქვა დამნაშავის ღირსების ქებად და დიდებად, დასასრულ მივიდა სტოლთან, სადაც მოწამლული ქადის ნაჭერი იყო, წამოავლო ხელი და, წარმოიდგინეთ, შესჭამა. მთელი საზოგადოება ამ მოულოდნელის საქციელისა გამო გაოცდა, შედრკა, შეშფოთდა. ამასთან ვექილი მიუბრუნდა ნაფიც მსაჯულთ და თამამადა სთხოვა: „ხომ ჰხედავთ, ბატონებო, ჩემი მრწმუნებელი დამნაშავე არ არის, ქადაში საწამლავი სულ არ ურევიაო!“ ნაფიცმა მსაჯულებმა დამნაშავე გაამართლეს, ვექილს-კი იქვე გასავალში, სასამართლოს კარებთან ორი ექიმი ელოდდა, რომელთაც იმავე წამს ვექილს პირის სასაქმებელი მისცეს და მოწამლული ქადის ნაჭერი მუცლიდგან ამოუღეს.

## გასართობი

მართალია, თუ არა?

მართალია, თუ არა, ვითომ ტფილისის ქალაქის საბჭო, განიხილავს რა რომელსამე ხმოსანის, მოხსენებას, უეჭველად დაადგენს: „ეს მოხსენება ამა-და-ამ კომისიას გარდაეცეს განსახილველადაო?“

—

მართალია, თუ არა, ვითომ ბაქოს ქალაქის გამგეობას ძლიერ უხარიან, ბაქო ხოლერას „გადარჩაო“, ამის გამო გამგეობის წევრნი ჰმართავენ სადილებს, „რეჩებს“ ამბობენ და ერთმანეთს ფოტოგრაფიის სურათებს უგზავნიან სახსოვრად „მედგარის“ და თავგანწირულის ბრძოლისა ხოლერის წინააღმდეგ?

—

მართალია, თუ არა, ვითომ ქართულის თეატრის ერთს მოღვაწეს ზედ მიწევნით შეუსწავლია სომხური, სომხურს სცენაზედ თამაშობს, აღტაცებაში მოჰყავს მაყურებელნი და ამას იქით განზრახვა აქვს ჩინურიც შაისწავლოს და ჩინურს სცენაზედ თამაშობით დაატკბოს მენი ციურის იმპერიისანიო?

—

მართალია, თუ არა, ვითომ ერთს ჩვენს დაუღალავს დრამატურგს ამ სეზონისთვის მოუმზადებია 47 ორიგინალი დრამა, 59 თარგმნილი კომედია, 78 გადმოკეთებული მელოდრამა და 139 თარგმნილ-გადმოკეთებული კოდევილი?

???

## წერილი რედაქციის მიმართ

გვიგზავნით კიდევ ქ. სიღნაღის ქართულ წიგნების ამხანაგობის-მიერ შეკრებილ ფულს, სოფლად ხოლერით დაზარალებულთა სასარგებლოდ. გთხოვთ დაჰბეჭდოთ შემომწირველთა სია: მღვდელი ნიკოლოოზ მაღალდაძე 20 კ., თ. გ. 20 ა. ჭ. 15 კ., რაჟდენ დარჩიევი 20 კ., თომა ასათიანი 50 კ., ნიკო თათარაშვილი 50 კ. სულ 1 მ. 75 კ.

ამასთანავე გთხოვთ დაჰბეჭდოთ სია განსვენებულ იოსებ დავითაშვილის ფონდის სასარგებლოდ შემწირველთა: სოსიკო ნასყიდაშვილი 50 კ., ეკატერინე ნასყიდაშვილისა 20 კ., ნინა ნასყიდაშვილის ასული 10 კ., გიორგი ნასყიდაშვილი 10 კ., ვანო ნასყიდაშვილი 10 კ., ვანო მაჭავარიანი 50 კ., მიხაკო კუტიბაშვილი 50 კ., თალიკო კუტიბაშვილისა 30 კ., ნინო კუტიბაშვილის ასული 10 კ., მარიამ კუტიბაშვილის ასული 10 კ., სერგეი თუმანიანცი 10 კ., N. N. 55 კ. ფოსტის გამოსაგზავნი დაიხარჯა 50 კაპ. დარჩა 2 მ. 85 კ.

ა. მაჭავარიანი

ქ. სიღნაღი

## დეპეშა

14 ოქტომბერი.

**პეტერბურგი.** რედაქტორ-გამომცემელმა „Новости“-სამ გამოაცხადა, რომ „Южный Край“-ში დაბეჭდილი ამბავი შესახებ იმისა, ვითომ „Новостисъ“-ს გამომცემელი იცვლებაო, ტყუილი არისო.

**ვორონეჟი.** ქალაქის საბჭომ გადასწყვიტა: 19 ოქტომბერს, კოლცოვის გარდაცვალების დღეს გარდახდილ იქმნას პანაშვიდი პოეტის სულის მოსახსენებლად ქალაქის დაწესებულებათა და ყველა წოდების წარმომადგენელთა თანადასწრებით, მატურის გარშემო გაკეთდეს რკანის მოაჯირი, ტყის ქუჩას სახელად კოლცოვის ქუჩა დაერქვას, გადადებულ იქმნას საჭირო ფული ყოველ წლივ სამაზრო სკოლის 10 მოწაფეს სასწავლებლად, შეიძინონ რამდენიმე ათასი ცალი კოლცოვის ბიოგრაფია და დაურიგონ სამოქალაქო სკოლის მოწაფეთ და სთხოვონ მთავრობას, ნებართვა მთელს იმპერიაში ხელის მოწერით ფულის შეგროვებისა კოლცოვისთვის ძეგლის ასაგებად.

**ბერლინი.** „Boersen Courier“-ი ითხოვს, რომ პურის ბაჟი გაუქმებულ იქმნას, რადგანაც უცხო ქვეყნებიდგან პური არ მოაქვთ და ამიტომ ძლიერ ძნელია ჯარის გამოკვებაო.

15 ოქტომბერი

**ვენა.** სუდანში აჯანყება მოხდა მაჰდის წინააღმდეგ იმის გამო, რომ მაჰდი ძლიერ სასტიკად ექცეოდა თურმე ზოგიერთა მეთაურთ.

**პარიჟი.** პინისტს პრეზიდენტმა ლუბემ განიხილა კარმოში მომხდარ უთანხმოების საქმე. ეს უთანხმოება მან გამოიწვია, რომ ქვის ნახშირის მადნების ადმინისტრაციამ მადნებში მომუშავე კალვანიაკი მერად ამორჩევის შემდეგ სამუშაოდგან დაითხოვა. ლუბემ გადასწყვიტა: 1) კალვანიაკი ისევ მიღებულ იქმნას მადნების სამუშაოებში, ხოლო ვიდრე მერად იქმნება, მუშაობისაგან განთავისუფლდეს; 2) მადნების ადმინისტრაციამ ხელ მეორედ უნდა მიიღოს მადნებში სამუშაოთ ყველა გაფიცულნი, მათ გარდა, რომელთაც ალბის სასამართლომ სასჯელი გადუწყვიტა. 3) დირექტორი ელბო თავისისავე თანამდებობაზედ უნდა დარჩეს.

დეპუტატებმა კლემანსომ, პელტანმა, მილრანმა და კარმოს მადნების მუშათა დელეგატებმა განაცხადეს, კმაყოფილი არა ვართ ლუბეს გარდაწყვეტილებითაო და ასურთა რესპუბლიკის ყველა დეპუტატთა კრება მოახდინონ ამ საქმის განსახილველად. ლუბეს ემდურებიან, რატომ არ შეიწყნარა ჩვენი განაჩენი და არ გადასწყვიტა, რომ მადნების სამი მუშა, რომელნიც კარმოს სასამართლომ გაასამართლა, ხელ-მეორედ ყოფილიყვნენ მადნებში სამუშაოდ მიღებულნიო.

პეტერბურგის ბირჟა, 13 ოქტომ.

| | მყიდველისა. მან. კ. | გამყიდველისა. მან. კ. | გაყიდულისა. მან. კ. |
|---|---|---|---|
| რუს-მანათიანი ოქრო | $8_{,01}$ | $8_{,05}$ | — ,, |
| ტამოჟნის კუპონები | 160¼ | 161 | — ,, |
| ძანეთიანი ვერცხლის ფული | $1_{,08}$ | $1_{,10}$ | — ,, |
| 5°/₀ პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი | 236 | — ,, | — ,, |
| —მეორისა | 217 | — ,, | — ,, |
| სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის მომგებ. ფურცელი | 191 | — ,, | — ,, |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა: | | | |
| 6°/₀ | — ,, | — ,, | — ,, |
| 5°/₀ | — ,, | — ,, | — ,, |
| ქუთაისის ბანკისა 6°/₀ | ,, | — ,, | — ,, |
| 5°/₀ | — ,, | — ,, | — ,, |
| 5°/₀ ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა | — ,, | — ,, | — ,, |

### გამოსადეგი ცნობანი

მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზედ

ნიხრი

1892 წ. 18 ენკენისთვიდგან ახალ განკარგულებამდე.

თეთრი პური რუსული 1 გირ. „ კ.
წითელი „ 1-ის ხარისხ. „ „ „
„ „ 2
თონ. წით. პურ. 1 ხარ. „ „ „
„ „ „ 2 „ „ „
„ „ „ 3 „ „ „
ჯვარის მამის პურის ლავაში.
1-ის ხარ. პურ. ლავაშ. 1 გ. კ.
მე-2 „ „ „ „ .
მე-3 „ „ „ „ „
ძროხის ხორცი 1-ის ხარისხისა 6 „
„ „ 2 „ „
სუკი — — — 12 „
ცხვრის ხორცი — — 7 „
ღორ. ხორ. უტყაოდ 1 ხარ. გ. „
მე-2 ხარ. ტყავიანად „


## განცხადებანი

კბილის ექიმი
**ა. ი. ორბელი**
სოლოლაკზედ, საკუთ. სახლებში №№ 14—16
ავადმყოფებს მიიღებს:
დილით 8-დგან 12 საათამდე.
საღამოთი 4-დგან 6 საათამდე.
კვირა-უქმე დღეებში
დილის 8 საათიდგან ნაშუადღევის 2 საათამდე. (150—124)

**НОВАЯ КНИГА:**
КЪ ИСТОРІИ РАЗБОЯ НА КАВКАЗѢ
**ТАТО ЦУЛИКИДЗЕ,**
СОЧ. А. С. ФРЕНКЕЛЯ,
цена 1 руб.
продается
у автора, (Тифлисъ, Троицкій пер., Рѣчицкаго).—Выписывающіе книгу непосредственно отъ автора, за пересылку ея не платятъ.—Кромѣ того можно пріобрѣсть: въ Тифлисѣ: въ книжныхъ магазинахъ быв. Беренштама, Центральномъ, Хиддекеля и др., въ Москвѣ: у Анисимова и въ С.-Петербургѣ: у Анисимова, Чичинадзе и Мартынова. (3—1)

**საურთიერთო დაზღვევის საზოგადოება ჭირნახულისა სეტყვისაგან**

აუწყებს ვენახებისა, ხეხილიანის ბაღებისა და სხ. პატრონთ, რომ, საზოგადოების წესდების § 30 ძალით, ამ საზოგადოებასთან არსდება ცალკე განყოფილება საკუთრად ვენახებისა, ბაღებისა და სხ. დაზღვევისათვის სეტყვისაგან. ამ განყოფილების მოქმედება დაიწყება მხოლოდ მაშინ, როცა მსურველნი დაზღვევისა იქმნებიან იმდენი, რომ მათის დასაზღვევის მამულების საზღაური 500,000 მან. იქნება.

სურვილი თვისი უნდა გამოუცხადონ საზოგადოების სააგენტოს დილის 9—12 საათამდე, ხოლო მერმისს პირველ იანვრიდგან დილის 9—3 საათამდე. (აბას-აბათის მოედანი, მელიქ-ნუბაროვის აფთიაქის გვერდზედ, საკუთარი სახლი). იქვე შეიძლება მიიღოს მსურველმა შემდეგი წიგნები:

Страхованіе отъ градобитія.

Краткій очеркъ развитія этой отрасли обезпеченія въ Германіи и Россіи.

Сборникъ свѣдѣній для опредѣленія убытковъ, причиняемыхъ культурнымъ растеніямъ градобитіями и др. атмосферическими вліяніями, а также насѣкомыми и болѣзнями.

Составилъ В. А. Таргонскій

სააგენტოს გამგე დ. ქ. თუთაევი.

1893 წლის 1 იანვრიდგან არსდება ტფილისში

**„უნივერსალი სააგენტო“**

დ. ქ. თუთაევისა

აბას-აბათის მოედანზედ, მელიქ-ნუბაროვის აფთიაქის გვერდზედ, დილის 9—3 საათამდე.

საქმე სააგენტოსი:

I რიგისა

დაზღვევა სიცოცხლისა ყოველ იმ წესით, რა წესითაც-კი შესაძლოა.

დაზღვევა ცეცხლისაგან უძრავისა და მოძრავის ქონებისა.

დაზღვევა ჭირნახულისა და ვენახებისა სეტყვისაგან.

გასყიდვა 5-°/₀-იან მომგების ბილეთებისა I და II სესხისა და სახელმწიფო სათავად-აზნაურო მომგებიან გირავნობის ფურცელთა ფასის ნაწილ-ნაწილ გადახდით და ხელ-მოსაცემ პირობით.

დაზღვევა მომგებიან ბილეთებისა გაბათილებისაგან უზრუნველ ყოფისათვის, თითო ბილეთისა 60 კაპეიკად.

II რიგისა

შედგენა ხარჯთ-აღრიცხვათა და გეგმებისა შენობათა ასაგებად. (სააგენტოს ჰყავს საკუთარი ხუროთ-მოძღვარი-არხიტექტორი).

შესრულება ქალაქ გარეშე მცხოვრებთა ყველა საქმისა, რომელიც-კი შეეხება მთავრობისა და სხვა კერძო დაწესებულებათა, აგრეთვე კომერციას და სხ.

სააგენტო ტვირთულობს სოფლისა და ქალაქის მამულების დაგირავებას ტფილისის სათავად-აზნაურო და სახელმწიფო ბანკში და აგრეთვე საკრედიტო საზოგადოებაში.

რუსეთის სავაჭრო და საკომისიო ბანკი

(ძირის ფული **1.000,000** მან.)

პეტერბურგი, ნევის პროსპექტი, 27

ისყიდება 5°/₀-იანი მომგებიანი ბილეთები I და II სესხისა და გირავნობის ფურცელნი სახელმწ. საადგილ-მამულო ბანკისა ფასის ნაწილ-ნაწილ გადახდით.

ბეთ უნდა იქმნას წარმოდგენილი 10°/₀ იმისი, რაც ბილეთი ჰღირს ბირჟაზედ (არა ნაკლებ 15 მან.). ყოველ თთვე-და-თთვე უნდა გადახდილ იქმნას იმდენი, რამდენსაც თვით მყიდველი ისურვებს (არა ნაკლებ 5 მან.)

კუპონები სრული საკუთრებაა მყიდველისა. ბეის წარდგენის შემდეგ მოგება მყიდველისაა.

დაზღვევა ბილეთისა გაბათილებისაგან ჰღირს 60 კაპ.

აგენტი დ. ქ. თუთაევი

(20—6)